

სოფიკო ჭაავა
ფილოლოგიის დოქტორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამშვიდობო განათლების ცენტრის მკვლევარი

აჭარაში მცხოვრები აფხაზების ეთნიკური და ენობრივი თვითკუთვნილება

2019 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ მხარდაჭერილი საგრანტო პროექტის („თანამედროვე აფხაზური ენის ეკოლინგვისტური ანალიზი“ - OTG - I - 19 - 1128) მიზანი იყო გამოგვეკვლია თანამედროვე აფხაზურის, როგორც გაქრობის საფრთხის ქვეშ მყოფი ენის მდგომარეობა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკაში.

წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ პროექტის ფარგლებში ჩვენ მიერ აჭარაში მცხოვრებ აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებთან ჩაწერილი ინტერვიუების ნაწილს, რომლებიც რამდენიმე მთავარ საკითხად დავყავით, კერძოდ:

1. მუჰაჯირობა და მუჰაჯირობამდელი საცხოვრისი;
2. აფხაზ მუჰაჯირთა ძველი და ამაჟამინდელი დასახლებები აჭარაში;
3. აფხაზური გვარსახელები და ეთნიკური იდენტობა;
4. თანამედროვე აფხაზური ენის ვითარება;
5. აფხაზთა თავყრილობები წინათ და ახლა;

ჩვენ მიერ შეკრებილი მასალიდან საანალიზოდ გამოვიყენეთ სამი ტიპური ქართულ-აფხაზური ოჯახის წევრთა პასუხები. ესენი არიან:

1. ი. ა. - მამით აფხაზი, დედით - ქართველი;
2. გ. ჭ. - მამით აფხაზი, დედით - ქართველი;
3. თ. გ. - მამით ქართველი, დედით - აფხაზი;

გთავაზობთ, ზემოთ აღნიშნული ძირითადი საკითხების შესახებ მათგან მიღებულ პასუხებს და ჩვენს კომენტარებს.

1. მუჰაჯირობა და მუჰაჯირობამდელი საცხოვრისი:

ი. ა.: „ჩვენი წარმოშობა დიდი მუჰაჯირობიდან მოდის, ჩემი წინაპრები მე-19 საუკუნეში დიდი მუჰაჯირობის მსხვერპლი გახდნენ. გადმოცემით ვიცი, რომ ვართ ნაწილი გუდაუთიდან, ნაწილი - ოჩამჩირე-სოხუმის ტერიტორია“.

გ. ჭ.: „რუსებმა რომ დეიპყრეს მთელი კავკასია, ჩეჩნეთი, აფხაზეთი. რუსებმა წინადადება შემოიტანეს ასეთი: ან დაგვეთანხმებით ყველაფერში, ან გაგასახლებთ, ან აქედან წახვალთ. ძალიან ბევრი წამევიდა. ჩეჩნებიც ბევრი წამევიდა. ზოგმა აქ დარჩა, ზოგმა იქ არ უნდოდა და უკან დაბრუნდა. თურქეთში არიან ძალიან ბევრი აფხაზები, ჩეჩნებიც არიან. დარჩნენ და მათი ენა მიიღეს, გვარიც. ზოგმა არ მეეწონა იქაურობა და დაბრუნდა და აქ დარჩა. მამაჩემი აქ დაიბადა, არ ვიცი აფხაზეთში სად ცხოვრობდნენ“.

თ. გ.: „დედა აქ დაბადებული და გაზრდილი იყო, მუჰაჯირები იყვნენ. ხომ იყო მუჰაჯირობა, თურქეთში რომ გადაბარგდნენ, იქიდან დაბრუნებული და აქ დარჩენილი აფხაზები იყვნენ. აქ ვინც არის აფხაზობა, 99% თურქეთიდან სამშობლოში დაბრუნებული არიან. ისევ და ისევ რუსებმა თავის დროზე რომ არ შეუშვეს და დასახლდნენ აქ.“

დედა ორივე მხრიდან აფხაზი იყო. დედის ოჯახი მუგურძირხვადან¹ იყო, გუდაუთის რაიონიდან. „ზალატოი ბერეგს“ ეძახდნენ. იქ აჟიბები არიან ბევრნი, ნუ აჟიბების სოფელია, კონკრეტულად ადგილი დაკარგულია. ჩავდიოდით იქ, ნათესავებიც გვყავს. აქედან წასულებიც არიან აჟიბები, ომამდე წასულები. ბებია გუდუთიდან, ლიხნიდან იყო, მკაცრი ბებია იყო.

მუსხაჯბა უფრო ჩერქეზია, ვიდრე აფხაზი. თურქეთიდან რომ დაბრუნდა მივიდა იქ აფხაზეთში, ბოლომდე“.

აჭარაში მცხოვრებმა აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებს სხვადასხვაგვარი ინფორმაცია აქვთ იმის შესახებ თუ სად ცხოვრობდნენ მათი წინაპრები აფხაზეთიდან გადმოსვლამდე:

ა) ნაწილმა იცის რაიონი და სოფელი, მაგრამ კონკრეტულად რა ადგილას ცხოვრობდნენ, არ იციან;

ბ) მიახლოებით იციან, სად ცხოვრობდნენ;

გ) ნაწილმა საერთოდ არ იცის, საიდან წამოვიდნენ.

როგორც ისინი აღნიშნავენ, მუჰაჯირები თავდაპირველად თურქეთში გახიზნულან, იქაურობა არ მოსწონებიათ და უკან დაბრუნებულან, მხოლოდ გამონაკლისებს შეუღწევიათ აფხაზეთში, რადგან მათი უმრავლესობა რუსებს აფხაზეთში არ შეუშვია, ამიტომ ისევ აჭარაში დასახლებულან.

¹ იგულისხმება გუდაუთის რაიონის სოფელი მგუძირხვა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აჭარაში მცხოვრები აფხაზები თავიანთ წინაპრებს „მუჰაჯირობის მსხვერპლს“ უწოდებენ, რუსეთს კი დამპყრობლად მოიხსენიებენ.

2. აფხაზ მუჰაჯირთა ძველი და ამჟამინდელი დასახლებები აჭარაში:

ი. ა.: „ჩემი წინაპრები დასახლდნენ აჭარაში, ანგისის ტერიტორიაზე. აქ შექმნენ წმინდა აფხაზური, წმინდა აფხაზურ-ქართული ოჯახები.

ეთნიკურად ბევრი აფხაზი იყო ამ უბანში. ანგისა, ადლია, კახაბერი, გარადოკი, ბონშიც არიან, მაგრამ ბევრი წავიდა. სამება, ფერია, გარადოკში ძაან ბევრია.

ამ უბანში ძალიან ბევრი რუსები ცხოვრობდნენ, სომხები, რუსები, ბერძნები, ქართველები და აფხაზები. ძალიან კარგი ურთიერთობები გვქონდა. არ იყო იქა, შენ რუსი ხარ, შენ სომეხი ხარ, შენ აფხაზი ხარ... მაგი საერთოდ არ იყო თქმული.

ბევრი აფხაზეთში წავიდა, მაგრამ ევროპაშიც წავიდნენ. თურქეთში გადასვლა და იქ ცხოვრება - არა, სამუშაოდ - კი“.

გ. ჭ.: „აქ ცარიელი იყო. ბათუმში მაშინ ძალიან ცოტა ხალხი ცხოვრობდა. აქ ბერძნები და სომხები ცხოვრობდნენ, ქართველობა და აჭარლობა ძალიან ცოტა იყო.

ფერიაში ცხოვრობენ აფხაზები, აქეთ კახაბერში, ადლიაში.

დედა ქართველი მყავდა. მამაჩემმა მიიღო პირველი თავმჯდომარეობა ამ კოლექტივის. მერე გადაირჩიენ, ომში წაიყვანეს და იქ დაიღუპა. დედამ 12 წლისან დამტია და ობლობაში გავიზარდე. მე მახსოვს სტალინის დრო, ძროხა რომ არ გვეყოლოდა, მშიერი დავრჩებოდით. ძროხას ვაბალახებდით, მაშინ იქ საბალახო ადგილები იყო, მინდვრები იყო. სამხედროები სროულობდნენ, წვრთნას გადიოდნენ“.

თ. გ.: „დედის ოჯახი ბათუმის ახლოს „პტიცაფერმას“² რო ეძახიან, იქ დასახლდნენ, მაგრამ იქ ცხოვრობდნენ ძირითადად ქურთები და ისეთი არეული ხალხი იყვნენ... აფხაზებმა რომ ჩამოვიდნენ, გაყარეს ქურთები და მანდ დასახლდნენ. აეროპორტის ტერიტორია რომაა, მანდ... მერე საბჭოთა კავშირის წყობა რომ დამყარდა, წითლები რომ ჩამოვიდნენ, მერე ურჩიეს, რომ აფხაზები ამ ტერიტორიაზე დასახლეს. გამოასახლეს იქიდან აქეთ. რაღაც საზღვრის ზონა იყო. ცოტა აფხაზები დარჩნენ, მაგრამ ძირითადად მიწები მისცეს და აქ ცხოვრობდნენ. გოროდოკს რომ ეძახიან, იქაც არიან აფხაზები, ძირძველი აფხაზები. კომპაქტურად დასახლდნენ აქ. ცალკე აფხაზი არ ცხოვრობდა, აფხაზის გვერდით ცხოვრობდა. აქ აფხაზები შეკრული ვიყავით ადრე.

² პტიცაფერმა - რუს. მეფრინველეობის ფერმა.

აქ კომპაქტურად ცხოვრობდნენ, ეს იყო აფხაზების უბანი. აქ იყო ძაან მაგარი აფხაზური უბანი, მაგრამ ომამდე და ომის შემდეგაც წავიდნენ“.

აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლების უმრავლესობამ იცის, აფხაზეთიდან განდევნის მერე თავდაპირველად სად დასახლდნენ მათი წინაპრები. ამასთანავე იციან და ჩამოთვლიან იმ სოფლებსა და ქ. ბათუმის უბნებს, სადაც ამჟამად ცხოვრობენ აფხაზები, კერძოდ: ს. ფერია, ს. ანგისა, ს. ადლია, ს. კახაბერი, ს. სამება, ბათუმში გარადოკისა და ბონის უბნები... აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგი მათგანი აფხაზთა ახლანდელი კომპაქტური დასახლების ადგილებად ასახელებს იმ სოფლებს, სადაც ამჟამად თითო-ოროლა აფხაზური ოჯახილა თუ ცხოვრობს (სამება, ადლია, კახაბერი...). როგორც არაერთხელ გვითხრეს, მუჰაჯირთა ბათუმში მოსვლის პერიოდისთვის ბათუმსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე მძიმე საცხოვრებელი პირობები იყო იქ არსებული ჭაობების გამო. ასევე იმ ადგილებში ნაკლებად ცხოვრობდნენ აჭარლები, მათ გვერდით, ძირითადად, ბინადრობდნენ ბერძნები, სომხები და ქურთები.

გ. ჭ.-ს ნაამბობით, სტალინის დროს იმ ადგილებთან ახლოს, სადაც აფხაზი ბავშვები ძროხებს აბალახებდნენ სამხედროების წვრთნები მიმდინარეობდა. როგორც ჩანს, ეს ბათუმის ის ნაწილი უნდა იყოს, რომელსაც **გარადოკს** (რუს. „პატარა ქალაქი“) ეძახიან - ამ სახელით მთელ საბჭოთა კავშირში მოიხსენიებოდა სამხედრო ნაწილების ტერიტორიაც და მის მიმდებარედ განლაგებული დასახლებაც, რომელშიც ოფიცრები და მათი ოჯახები ბინადრობდნენ.

თ. გ.-ს მონათხრობით კი აფხაზები პირველად რუსეთის იმპერიისა და ოსმალეთის საზღვართან ახლოს დასახლებულან, მაგრამ საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ კომუნისტებს აფხაზები საზღვრის ზონიდან გაუსახლებიათ.

შესაძლოა, ორივე რესპონდენტი ერთსა და იმავე ადგილს გულისხმობდნენ. როგორც ჩანს, რუსები არც საბჭოთა პერიოდში ენდობოდნენ მუჰაჯირობაგადატანილ აფხაზებს, ამიტომ იმ პერიოდისთვის უკვე რამდენჯერმე ადგილმოცვლილი (აფხაზეთიდან თურქეთში, თურქეთიდან - აფხაზეთში, ან აჭარაში) მუჰაჯირები კიდევ ერთხელ გადაასახლეს და სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების გვერდით დაასახლეს ბათუმთან გარეუბანში, რომელიც ამჟამად უკვე შუაგულ ქალაქშია. ნიშანდობლივია ისიც, რომ აფხაზები კომპაქტურად სახლდებოდნენ და ქმნიდნენ აფხაზურ უბნებს. როგორც გუჩმანიძე აღნიშნავს: „აფხაზი ცალკე არ ცხოვრობდა, აფხაზი აფხაზის გვერდით ცხოვრობდა, შეკრულები იყვნენ“... მუჰაჯირების მიერ გამოხატული ერთიანობის სურვილი აფხაზობის, აფხაზური ტრადიციებისა და აფხაზური ენის შენარჩუნების მცდელობად შეიძლება შეფასდეს.

3. აფხაზური გვარსახელები და ეთნიკური იდენტობა:

ი. ა.: „მე ვარ ინგა აგრბა, საქართველოს მოქალაქე, მცხოვრები აჭარაში, მამით აფხაზი, დედით ქართველი, აჭარელი. გავიზარდე აფხაზურ-ქართულ ოჯახში. ნათესავები გვყავს ალხორბები, ჩაზმავეები, რეიზბები. აქ ცხოვრობენ ჩაზმავეები, აგრბები, კაიტამბები, ქუთელიები, აშლამბები, არსიები (არსია ეტა ჩისტი აფხაზსკი³), ამბობენ, ეს გვარი მეგრულ-აფხაზურიო, მაგრამ აქ აფხაზურად თვლიან თავს. აფხაზური სახელები: მალხაზ, ალხაზ, ასიდა... რამიდას ბებია ჰყავდა აფხაზი, ბაბუა - აჭარელი. ჩემს ბაბუას ნაზიმი ერქვა. ბაბუას ძმა იყო კადგრ აგირბა და არიფ აგირბა. აჟიბებში, აგერ ჩემი მეზობლები არიან 12 თუ 13 იყვნენ და-ძმა. აფხაზური სახელები ჰქონდათ: შერიფ, რაუფ, არიცა, ალმასხან... უფრო მამაკაცებს ჰქონდათ აფხაზური სახელები. ნაიმე, ქალის სახელია. ზურაბია ჩემი ძმის სახელი, მე ინგა მქვია, მამიდაშვილი მყავს მალხაზი და მამიდაშვილის შვილი ასიდა და რამიდა⁴.

ახლა ამბობენ, ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, დემოკრატის ვაშენებთ და, უბრალოდ, სირცხვილია ქვეყანაში, რომელსაც აქვს დიდი ამბიციები და თავს დებს დემოკრატიაზე, საუბარი ეთნიკაზე არც უნდა წარმოიშვას. ყველა ერთი ვართ. ვცეთ ერთმანეთს პატივი. კი მე აფხაზი ვარ, ძალიან კარგი, შენ ქართველი ხარ, იმერელი, გურული, არა აქვს მნიშვნელობა, ყველამ ვცეთ ერთმანეთს პატივი. მე ასე მჯერა“.

გ. ჭ.: „ფერიაში ცხოვრობენ აფხაზები, ჭო: აგირბა, ჭათანავა, არსია, აცანბა, ქუთელია...“

მე ვარ ჭათანავა. ჭათანავეები არიან აფხაზები და არიან მეგრელები. მიცემ-მოცემა არის. ზოგმა შეიძლება დედის გვარი აიღო. ასეა თუ ისეა, კაი-გლახა, მე ვიცი, ყველგანაა.

შევარდნაძეს რომ ეთქვა, მეგრელები, აფხაზები, სვანები, აჭარელი, ყველა ერთი ვართ... პროპაგანდა არ მიდიოდა. რამ გაარჩია გურული, სვანი თუ მეგრელი... ყველა ქართველები ვართ, ხო?!

ერთი რამე უნდა გითხრათ: ვარ სევასტოპოლში ჯარში. 10 კაცი ვართ. ყველა ქართველები. უნდა გადაგვიყვანონ სხვა ნაწილში. ქართული გვარი გვიწერია და ყველა ქართველები ვართ. მსახურობდა ერთი შურღაია. სტარშინა⁵ იყო. ყველას ქართული გვარი ჰქონდა. ჩემთან მოვიდა, ჭათანავა, შენ მეგრელი ხარო? მეგრელებმა იციან ასე ახლოს მეგობრობა. სხვებმა ასე არ იციან“.

³ „[გვარი] არსია - ეს წმინდა აფხაზურია“. სინამდვილეში გვარი **არსია** წარმოშობით ქართულია.

⁴ ჩამოთვლილ სახელთა უმრავლესობა არ არის აფხაზური წარმომავლობისა.

⁵ ზემდეგი - დაბალი რანგის სახედრო მოსამსახურე.

თ. გ.: „ბებია - ადილე ქათიბა, დედა - ნაზი აჟიბა. ქუთელია, ნაყოფია, აგირბები, ჭათანავა... უფრო მუსულმანური სახელები გვაქვს: იბრაგიმი, ჰასანი, ნუ ასეთი სახელები გვაქვს. აი, მაგალითად, აფხაზური სახელი ქვია - ბესლანი.

ახლა აქ არის ქართული ოჯახები და აფხაზური ოჯახები, მაგრამ არასდროს არ არის, აი, შენ აფხაზი ხარ. ძველ პასპორტებში აფხაზი ეწერათ. არიან აქ ოჯახები, მაგრამ უკვე გაქართველებულები არიან. აქ სელიმბები არიან, მაგრამ ძირითადად, გაქართველებულები არიან.

თურქეთის აფხაზებთან მე არ მაქვს კავშირი. ერთი ნათესავი მყავს და იმას აქვს, ასე ინტერნეტით... ის მაგარი აფხაზია, ყველა აფხაზის გაცნობა უნდა. სოხუმში ცხოვრობს. ჩვენთან არაა ასეთი ახლა, ისეთი აფხაზები, რომ აი, მაგალითად, თურქეთის აფხაზებთან კონტაქტი ქონდეს, არ მეგულება ასეთი. შეიძლება არის, მაგრამ მე არ ვიცი.

ასლან აბაშიძის დროს რთული დრო იყო და თუ რამე წინ წაწევა გინდოდა, ერთი ნაბიჯის წინ გადადგმა... ჩემმა ბიძაშვილმა გადაიკეთა, აჟიბა იყო და დედის გვარზე კაკაბაძეზე გადავიდა. ახლა იწერება კაკაბაძე-აჟიბა. ეს ერთეული შემთხვევა იყო. აფხაზებში განსაკუთრებულადაა გვარის პატივისცემა. ეს დღესაც შემორჩენილია და არასდროს არ გადავა სხვა გვარზე. აფხაზური ოჯახია მხოლოდ გვარად.

ამ ბავშვს აფხაზის არაფერი არა აქვს, მხოლოდ გვარადაა აფხაზი, ნაყოფიაა. აფხაზ მალხაზ ნაყოფიას შვილებს ჰქვიათ ლიზი და ლიაკო. მეუღლე ჰყავს კახელი - ცისკარიშვილი ნატო. ადა ქუთელია ჩვენი უბნელია, აქ ცხოვრობდა ადრე და მერე ქალაქში გედევინდა.

გუდაუთაში ძაან ისეთი აფხაზები ცხოვრობენ, ნაციონალისტები. აქეთ ოჩამჩირეში უფრო რბილი აფხაზები ცხოვრობენ იმიტომ, რომ ოჩამჩირის ხალხს უფრო გალის რაიონთან ქონდა კავშირი, ოჯახებიც მეგრულ-აფხაზური იყო.

ბოლოს 5-6 წლის წინ ვიყავი აფხაზეთში. ჩემთვის შესანიშნავი სიტუაციაა. დღესაც მპატიჟებენ. ნუ, ახლა რო წახვიდე, რა უნდა გააკეთო? მე იქ არ ვმალავ, რომ ქართველი ვარ და ბათუმელი ვარ და არანაირი პრობლემა არ გვაქვს“.

როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, მიუხედავად იმისა, რომ ქართველებთან ერთად სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა გარემოში ცხოვრობდნენ, აფხაზმა მუჰაჯირებმა (უმრავლესობამ) საქორწინო პარტნიორებად ქართველები აირჩიეს და შექმნეს ქართულ-აფხაზური ოჯახები.

ჩვენი დაკვირვებით, აჭარაში, თბილისში, ფოთში, ზუგდიდში, წყალტუბოში და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ქართულ-აფხაზური ოჯახების წევრებსაც და წმინდა აფხაზური ოჯახების წარმომადგენლებსაც არ მოსწონთ ეთნიკურობაზე ყურადღების

გამახვილება და ხშირად აღნიშნავენ, რომ ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენი აზრით, ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება და იმის მტკიცება, თითქოს ადრე არ არსებობდა სხვაობა და დაპირისპირება სხვადასხვა ეროვნების პირთა შორის, გამოწვეული უნდა იყოს იმის ლოგიკური შიშით, რომ, თუ ამ საკითხს წინ წამოსწევენ, შეიძლება, აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებში ისევ ჩაერიოს მესამე ძალა და გამაფრდეს ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის. არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ შერეული, ქართულ-აფხაზური და ენგურსგამოღმა მობინადრე წმინდა აფხაზური ოჯახების წევრები ყველაზე მტკივნეულად და მძაფრად განიცდიან იმ დიდ უბედურებას, რაც აფხაზეთში მოხდა და ეს გასაკვირი სულაც არ არის - ეს ადამიანები ორივე ხალხის განუყოფელ ნაწილად განიხილავენ თავს და მათთვის სულერთი არ არის ეს საკითხი.

შერეული ოჯახების წევრები, როგორც ზემოთ ვნახეთ, იმასაც ამბობენ, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლები, კერძოდ, იმერლები, გურულები, კახელები არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ისევე არ უნდა განსხვავდებოდნენ აფხაზები სხვა ქართველებისგან, მაგალითად, ჭათანავას თქმით: „მეგრელები, აფხაზები, სვანები, აჭარელი, ყველა ერთი ვართ... რამ გარჩია, გურული, სვანი თუ მეგრელი... ყველა ქართველები ვართ, ხო?!“ რა თქმა უნდა, საკითხის ასე დასმა იმავე მიზეზითაა განპირობებული, რაზეც წინა აბზაცში ვიმსჯელებთ, მაგრამ იმის შიშით, მესამე ძალამ ერთიმეორეს კვლავ არ დაგვაპირისპიროსო, გამართლებული არ არის იმის „მტკიცება“ აფხაზიც (ანუ აფსუაც) ისეთივე ქართველია, როგორც მეგრელი, აჭარელი და გურულიო...

გ. ჭ.: თავისი მეგრული წარმოშობის გვარის შესახებ ასეთი განმარტება გააკეთა: „ჩემი გვარის ადამიანები არიან აფხაზები და არიან მეგრელები. მიცემ-მოცემა არის (იგულისხმბა, შვილების გაძიძვება, ანუ მორდუპობა იყო - ს. ჭ.), ზოგმა შეიძლება დედის გვარი აიღო“. ჩვენი რესპონდენტი აფხაზობს, მაგრამ თან ქართველობს, ისევე როგორც სხვა გაქართველებული აფხაზების დიდი ნაწილი. გუჩმანიძის აზრით, აჭარაში მცხოვრები აფხაზების უმრავლესობა მხოლოდ აფხაზური გვარით აფხაზობენ, თორემ სხვა მხრივ გაქართველებულნი არიან.

ჩვენი რესპონდენტების თქმით, აჭარაში მცხოვრებ აფხაზებს შემდეგი გვარები აქვთ: აცამბა, ალხორბა, მუსხაჯბა, რეიზბა, აგრბა, კაიტამბა, ქათიბა, აგუმბა, სელიმბა, აჟიბა, აშლამბა, არსია, ქუთელია, ჭათანავა, ნაყოფია, ჩაზმავა... სინამდვილეში კი ბოლო 5 გვარი წარმომავლობით ქართულია, მაგრამ მათი მატარებელი აფხაზების წინაპრები სხვადასხვა დროს უნდა იყვნენ გააფხაზებული განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო.

ასევე ცდებიან რესპონდენტები, როცა ჰგონიათ, თითქოს ძველი თაობის აფხაზებს უფრო მეტად აფხაზური, ქართული, ან თურქული სახელები ერქვათ:

ადილე, ნაზი იბრაგიმი, ჰასანი, ბესლანი, მალხაზ, ალხაზ, ასიდა, რამიდა, ნაზიმი კადერ, არიფ, შერიფ, რაუფ, არიცა, ალმასხან, ნაიმი..., ხოლო 60-70-იანი წლებიდან იმ სახელებს არქმევდნენ, რაც იმ პერიოდის საქართველოში იყო გავრცელებული. ხსენებული სახელებიდან სინამდვილეში არცერთი არ არის არც აფხაზური და არც ქართული, ისინი ან თურქულია, ან თურქიზებული არაბული სახელებია.

4. აფხაზთა ენა/ენები:

ი. ა.: „აქ უკვე აფხაზური ცოტამ იცის. მე გეუბნებით 30 წლის წინ და უფრო შორს აქ აჭარლებიც ლაპარაკობდნენ აფხაზურად, ქართველები, შერეულ ოჯახებში. ვისაც ბებია ან ბაბუა ჰყავდა. ენა უკვე მიდის. ადრე ამ უბანში, ჩემს ბავშვობაში, როცა პატარა ვიყავი, ისმოდა სამი ენა: ქართული, რუსული, აფხაზური. როცა დედა ჰყავთ აფხაზი, აფხაზური იციან შვილებმა, ბებია განსაკუთრებით.“

მამამ იცოდა აფხაზური, სუფთად, წმინდად, აფხაზური, ქართული, რუსული. მამიდაჩემმაც: აფხაზური, ქართული, რუსული. ჩემმა მამიდაშვილებმაც: აფხაზური, ქართული, რუსული. როცა რაიმე „სეკრეტი“ ჰქონდათ, ლაპარაკობდნენ აფხაზურად. თუ რაიმე ჰქონდათ სალაპარაკო და ჩვენ რომ არ გაგვეგო, მაშინ ლაპარაკობდნენ, ხანდახან იყო ასეთი.

აფხაზეთში აფხაზებმა მეგრული და რუსული იცოდნენ, ქართული არ ვიცი, შვილო, ვერ გეტყვით, მეგრული - კი. არ ასხვავებდნენ მეგრულ და აფხაზურ წესებს. იქაურ აფხაზებთან ვლაპარაკობთ ნა რუსკამ⁶, თუ აფხაზური იცი, აფხაზურად. **სარა ბარა ბზია ზბოიტ**⁷ ვიცი, „მე შენ მიყვარხარ“ და **ალმასაკუდ**⁸ „მშია“, **ამგ**⁹, **აჩა**¹⁰ და ასეთი რაღაცა, ელემენტარული რაღაცა. მეტი არ ვიცი.

აფხაზურს ასწავლიან ფერიის სკოლაში. აფხაზურს ასწავლის აფხაზი ქალბატონი, გაკვეთილები მიმდინარეობს, მე მგონი, კვირაში სამჯერ თუ ოთხჯერ.

ბათუმის უნივერსიტეტში დოცენტია, მე მგონი პროფესორობაზეა წარდგენილი დიასამიძე, სახელი რა ქვია... ბებია და დედა აფხაზი ყავდა, მამა დიასამიძე ქართველი და წმინდად ლაპარაკობს აფხაზურად. ბათუმის უნივერსიტეტში ისტორიის კათედრაზეა, დიასამიძე რამაზი თუ რევაზი, რეზო დიასამიძე.

⁶ რუსულად.

⁷ უნდა ეთქვა **ბზბოიტ**.

⁸ უნდა ეთქვა **ამლა საკიტ**.

⁹ წყალი.

¹⁰ კური.

პატარა ბავშვი რომ შემოდის აფხაზურ ოჯახებში, იმ პატარა ბავშვისთვისაც ფეხზე უნდა წამომდგარიყავით. მობრძანდით, პირველი სიტყვა, „ბუირუმს“, ცოტა თურქულიც იყო გარეული, იმიტომ რომ თურქეთი ახლოს იყო და თურქული, სპარსული ენებიც იყო აქ შემოსული“.

გ. ჭ.: „მამამ იცოდა აფხაზური. ჭო, აფხაზეთელმა აფხაზებმა - უფრო რუსული და აფხაზური იციან, მაგალითად, ავილოთ, სომხები და აზერბაიჯანელები, რუსული მაგრადაა შემოსული, იქ მით უმეტეს.“

და მაგალითად, შვილი რო დეიბადება ოჯახში, დედა უნდა ყავდეს, რომ ისწავლოს. ჩემი ძმა დამელუპა 9 წლის, მე ვიყავი 7 წლის. მარტო დავრჩი და გევიზარდე. თამაშის დროს ქართულად ვლაპარაკობდით, მაგრამ აფხაზურად ვიცოდით. შვილებმა არ იციან.

ბევრმა არ იცის აფხაზური, ქართული ყველამ ვიცით. აქ დევიბადეთ, აქ გევიზარდეთ, 100 %-ში შეგვიძლია დალაპარაკება. ახალგაზრდებმა არც ერთმა არ იციან.

მე ცოლი მევიყვანე ქართველი, აჭარელი. ჰოდა, მე დილით წვევდი სამსახურში და საღამოს მოვედი, შვილმა ვერ ისწავლა აფხაზური.

ჩემი მამიდაშვილი არის იქ გათხოვილი. ამ სახლში ცხოვრობდა აგუმბა ნაზიკო. ახლა გუდაუთაში ცხოვრობს. ქმარი ახლა მოუკვდა. თვითონაც კი იქნება 80-ს გადაცილებული, იცის აფხაზური. აფხაზები ყველაზე მეტი გუდაუთაში არიან. სოხუმში იგიცაა და იგიც.

მამიდაჩემი ქართული არ იცოდა. ესმა ხომ გახსოვს? ¹¹ნე პომნიშ? ქართული ვაბზე¹² არ იცოდა [რესპონდენტმა მიმართა გვერდით მდგომ აფხაზ აცამბას - ს.ჭ.]. ბაღნებმა იცოდნენ აფხაზური და ქართული. ყველას არა აქვს იმის ნიჭი, რომ სხვა ენა ისწავლოს. [ესმა] მარტო აფხაზურად ლაპარაკობდა. 60-იან წლებში მოკვდა. ზოგს ნიჭი აქვს, უცფათ შეისწავლის უცხო ენას. მე რომ მოვიყვანო 20 ბავშვი და ინგლისური, ან გერმანული ვასწავლო. ზოგმა შეიძლება სულ ვერ ისწავლოს, ოცივე ხუთიანზე ვერ ისწავლის“.

მ. ა.: „მე ვიცი აფხაზური, ჩემმა შვილებმა - არა“.

თ. გ.: „დედამ შესანიშნავად იცოდა აფხაზური და მასწავლა, ბებიამაც. აქ არის უბანი, აჟიბები ცხოვრობენ, მაგრამ იქაც ფაქტიურად თითო-ოროლამ იცის აფხაზური.“

¹¹ არ გახსოვს?

¹² სრულებით, საერთოდ.

ოჯახში ქართულად ვსაუბრობთ, მაგრამ თუ არ მინდა, იმან გეიგოს, აფხაზურად ვეტყვი, ისე ქართულად ვსაუბრობთ. აფხაზური წერა-კითხვა არ ვიცი.

აფხაზური ენა იკარგება ისეთი სისწრაფით, მეტი რომ არ შეიძლება, ბათუმში იკარგება... აი, მ. ნ.-ს მეუღლე ქართველია, ბავშვებმა თითო-ოროლა სიტყვა იციან აფხაზურად. მოდი აქ, წადი და რაღაც ასეთები, იმიტომ რომ ოჯახში საუბრობენ ქართულად.

ჩემმა თაობამ უფრო იცის. მე მესმის აფხაზური ყველაფერი, მაგრამ გადმოცემა მიჭირს, ურთიერთობა რომ არ მაქვს აფხაზებთან, ამიტომ ენა იკარგება, კატასტროფულად იკარგება. ახლა აფხაზი რომ მოვიდეს, ყველას გავცემ პასუხს. ამ დონეზე ვართ ახლა ბათუმში.

ჩვენ, ბათუმელი აფხაზები ძირითადად აფხაზურად საუბრისას ცოტას ვურევთ თურქულ სიტყვებს. აი, ოჩამჩირის რაიონში როა აფხაზური, ისინი მეგრულ სიტყვებს ურევენ. გუდაუთელები უფრო წმინდად საუბრობენ და უფრო ძნელია. მე ახლა სოხუმში რო დავდიოდი და გუდაუთელ აფხაზურს ვუსმენდი, ძაან ყურადღებით ვუსმენდი, რო გამეგო რამე. ოჩამჩირელი აფხაზი, სოხუმელი აფხაზი... პრობლემა არ მქონდა საუბარში.

აი, მაგალითად, აფხაზური სახელი ქვია ბ. ქ.-მ. აფხაზური იცის, მაგრამ მორიდებულია. მისმა შვილებმა არ იციან. მოსკოვში ცხოვრობს. დედა მუსხაჯბა ჰყავდა და მისმა მშობლებმა იცოდნენ აფხაზური. უფრო ჩერქეზია ამისი დედა, ვიდრე აფხაზი. თურქეთიდან რომ დაბრუნდა, მივიდა იქ აფხაზეთში, ბოლომდე.

თითქმის ყველაფერი ქართულია და ქართულად საუბრობენ. ოჩამჩირეში ბევრს შევხვდი, რომლებმაც იციან მეგრული, ქართული, აფხაზური, რუსული... ყველა ენაზე დაგლაპარაკებია. მე დაჟე გაცელებული ვიყავი. უფრო უფროსმა თაობამ, ქართველებს ვიცნობდით, რუსებსო და იძულებული ვიყავით, ყველა ეს ენები გვცოდნოდაო. ძაან ნაკლებად იყო, კაცს არ სცოდნოდა ან მეგრული, ან აფხაზური, ან რუსული, ან კიდე ქართული.

ძირითადად, რუსულ-ქართულის სკოლები იყო. მე ქართული სკოლა დავამთავრე. ჩემი სკოლა იყო, მაგალითად, დილის ცვლა იყო ქართული, ორის მერე იყო რუსული სკოლა. აფხაზურს ადრე არ ასწავლიდნენ სკოლაში (ბათუმში). ახლა დეიწყეს აფხაზური ენის კურსები. ჩემს დროს და ჩემს მერე აფხაზურს არ ასწავლიდნენ, ახლა დეიწყენ“.

რესპონდენტებისგან მიღებული ინფორმაციის შეჯამებით აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა შორის და შერეულ ოჯახებში შემდეგი სახის ენობრივი ვითარება იკვეთება:

1. აჭარაში მცხოვრებმა აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლებმა 30 წლის წინ (ბებიებისა და ბაბუების თაობამ) უნაკლოდ იცოდნენ აფხაზური ენა, მაგრამ ეს ცოდნა დროთა განმავლობაში ნელ-ნელა შესუსტდა. განსაკუთრებით სწრაფად ქრებოდა აფხაზური ენა შერეულ, ინტერეთნიკურ ოჯახებში, ამგვარი ოჯახების რაოდენობა კი თანდათან იზრდებოდა, რაც ბუნებრივი იყო იმ პირობებში, როცა აჭარისა და ქალაქ ბათუმის მთელ მოსახლეობაში აფხაზთა წილი ძალიან მცირე იყო და მცირეა ამჟამადაც. **აფხაზურს უმეტესწილად სწავლობდნენ დედით აფხაზი ქართველი ბავშვები, მაგრამ დედით ქართველი აფხაზი ბავშვები ვერ ახერხებდნენ მშობლიური ენის დაუფლებას. მაშასადამე, აფხაზური ენის შენარჩუნება აფხაზ ქალბატონებზე - დედებსა და ბებიებზე იყო დამოკიდებული უპირატესად;**
2. უფროსი თაობის წარმომადგენლებს შორის ძალზე მცირე რაოდენობით იყვნენ ისეთი აფხაზებიც, რომლებმაც მხოლოდ აფხაზური იცოდნენ და არ ფლობდნენ არცერთ სხვა ენას;
3. საბჭოთა პერიოდში აჭარაში მცხოვრებმა აფხაზებმა იცოდნენ აფხაზური, ქართული და რუსული ენები, ხოლო აფხაზეთში მცხოვრებმა აფხაზებმა აფხაზური, რუსული, მეგრული და ბევრად იშვიათად სამწიგნობრო ქართული;
4. აფხაზურ ოჯახებში უმეტესად ქართულად, აჭარულ დიალექტზე საუბრობენ („ქართული ყველამ ვიცით, აქ დევიბადეთ, აქ გევიზარდეთ, 100 %-ში შეგვიძლია დალაპარაკება“);
5. საშუალო თაობის ნაწილს ესმის აფხაზური, მაგრამ ვეღარ ლაპარაკობს;
6. ახალი თაობის უდიდესმა ნაწილმა არ იცის აფხაზური, მათ მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა შეუძლიათ;
7. აჭარაში მცხოვრები აფხაზები ერთხმად აღნიშნავენ, რომ აჭარაში აფხაზური ენა იკარგება („აფხაზური ენა იკარგება ისეთი სისწრაფით, მეტი რომ არ შეიძლება, ბათუმში იკარგება. აქ უკვე აფხაზური ცოტამ იცის. ბევრმა არ იცის აფხაზური. ახალგაზრდებმა არცერთმა არ იციან. მე ცოლი მევიყვანე ქართველი, აჭარელი. ჰოდა, მე დილით წვევდი სამსახურში და საღამოს მოვედი, შვილმა ვერ ისწავლა აფხაზური. ენა იკარგება, კატასტროფულად იკარგება. მე ვიცი აფხაზური, ჩემმა შვილებმა-არა“);
8. აფხაზური „საიდუმლო ენის“ ფუნქციას ასრულებს მხოლოდ უფროსი და საშუალო ასაკის აფხაზებს შორის;
9. რესპონდენტების აზრით, აჭარაში მცხოვრები აფხაზები აფხაზურ ენაზე საუბრისას თურქულ სიტყვებს ურევენ, ოჩამჩირელი აფხაზები - მეგრულს, ხოლო „გუდაუთელები უფრო წმინდად საუბრობენ და [მათი მეტყველება] უფრო ძნელია“.

10. აჭარაში ადრე სკოლებში არ ასწავლიდნენ აფხაზურ ენას, ახლა ბათუმის ორ საჯარო სკოლაში (ფერიასა და ბათუმის N 14) ასწავლიან, როგორც არჩევით საგანს.

5. აფხაზთა თავყრილობები წინათ და ახლა:

ი. ა.: „იმ დროს როცა მე ვიყავი სკოლის მოსწავლე, მერე უკვე სტუდენტი, რუსეთში დავამთავრე. ყოველ 7 ოქტომბერს იყო ფამილნი სლიოტ, გვარის შეკრება აგრებების. მაშინ საბჭოთა კავშირში 7 ოქტომბერი იყო კონსტიტუციის დღე¹³, ამ დღეს ვიკრიბებოდით ყველა აგირბები. საბჭოთა კავშირში თუ სადმე არსებობდა აგირბები, მიაწვდენდნენ ხმას და ყველა ჩავდიოდით აფხაზეთში და იყო აფხაზური სუფრა, ოჩამჩირეში, ახალ კინდლში, ძველ კინდლში, სოხუმში, გუდაუთაში. მე ორჯერ ვიყავი ამ შეკრებაზე. გვარის დალოცვა. იხსნებოდა დიდი საფა¹⁴, აუცილებლად უნდა ყოფილიყო მაგიდა დიდ ეზოში. მოდიოდა უხუცესები, მომღერლები. ჩვენ აქედან გვექონდა აფხაზურ-აჭარული სუფრა. აჭარული ბაქლავა, რაღაც-რაღაცეები მიგვექონდა. ჩემი ძმა მხატვარი იყო, სკოლის მოსწავლე იყო და მისი ნახატები რამდენჯერმე გამოიფინა იქ. ეზოში შევდიოდით, გვხვდებოდნენ ტაშ-ფანდურით, მუსიკებით, დოლით, აკარდიონით, როგორც ოჯახში დიდი სტუმრებს ხვდებოდნენ. შემდეგ მოდიოდა უხუცესი თეთრ რაშზე, ყაბალახით, თეთრი ჩოხა-ახალუხით, შუა სცენაზე გადმოდიოდა, აფხაზურად დალოცავდა ყველას. თუ ვინც არ იცოდა აფხაზური, რუსულად მიმართავდა, დაგვლოცავდა. მერე სიტყვებით გამოდიოდნენ რემზი აგრბა, ბევრი უხუცესები, ქალბატონები... მერე ჩვენ როგორც აჭარაში წასულები, ჩვენი წარმომადგენელი გამოდიოდა სიტყვით. შემდეგ იწყებოდა სიმღერები, იქ ცეკვა უხუცესების. ეს ყველაფერი რომ დაფიქსირებულიყო... ფოტოები არსებობს აფხაზეთში. ამას თაობდნენ აჭარული აფხაზები, აგრბები. ცხოვრობენ აქ, ადლიას ეძახიან, სადაც აფხაზების სასაფლაოა, საერთო სასაფლაო. იქ ძაან ბევრი არიან, ის კაცი აწ განსვენებულია თემრათ აგირბა. ის აჭარულ აფხაზებს გვიყრიდა თავს. ასაკოვანი კაცი იყო და ის პატიჟებდა. ეს იყო 80-90-იანი წლები.

ჩემი ახლობელი, ნათესავი დედით აფხაზია, ისტორიის დოქტორია, თენგიზ თავდგირიძე. ძალიან დიდ პატივს ვცემთ. თუ რაიმე შეკრებებია, ან ღონისძიებებია დაგვემილი, ჩვენ ხშირად დავდივართ ერთად, ხან უნივერსიტეტში, ხან სამეცნიერო რაღაცეები ხდება. ამირან სურმანიძე მწერალია, რომელმაც „აფხაზები აჭარაში“ დაწერა, წიგნი. ერთი ნაწილი გამოვიდა და მეორეზე მუშაობენ.

¹³ საბჭოთა პერიოდში 7 ოქტომბერი კონსტიტუციის დღე არ ყოფილა. ინფორმატორს ეს დღე აშკარად 7 ნოემბერში, ანუ ე.წ. ოქტომბრის რევოლუციის დღეში ერევა.

¹⁴ სეფა - დიდი კარავი.

ჩვენ გვყავდა უხუცესი ქალბატონი, პროფესორი ფერიდე აცამბა¹⁵... თითქმის ას წელზე იყო მისული, აცამბა, მოსკოვში მოღვაწეობდა. ხშირად საღამოები ტარდებოდა აქ იმ ქალბატონის, მისი რძალი მუზეუმს უკეთებს”.

თ. გ.: „ადრე რატომღაც იყო შეკრებები, ორი-სამი ოჯახის გვარი იკრიბებოდა, ახლა არაა. ორმოცზე იკრიბებოდნენ და ჰალვას აკეთებდნენ“.

აჭარაში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირები და მათი შთამომავლები ერთად დასახლების გარდა თავიანთ ერთობას ზემოაღნიშნული თავშეყრებითაც აძლიერებდნენ. ი. აგრბას მიერ აღწერილი ერთი გვარის აფხაზეთში შეკრების ისტორია თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ ცდილობდნენ აფხაზები თავიანთი ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებას. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები აგრბების მოძიება და მიწვევა აფხაზეთში, უხუცესების მიერ წარმოთქმული აფხაზური მიმართვა და დალოცვა, აფხაზური სიმღერები და ცეკვები, აფხაზური ეროვნული სამოსი, ტრადიციული კერძები, ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენა - ამ ყველაფრის მიზანი საკუთარ ფესვებთან დაბრუნება და აფხაზობის გაგრძელების სურვილი იყო უთუოდ.

ახლა სხვა ფორმით, სხვა შინაარსით, ოღონდ იმავე მიზნით გრძელდება აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა შეკრებები, აქტიურად ესწრებიან მათთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებებს. იციან ყველა ის ადამიანი, აფხაზი თუ არააფხაზი, ვინც მათ შესახებ წერს, ვინც კარგად იცის აფხაზური ენა, ვინც გამორჩეულია თავისი საქმეებით, ვინც ნიჭიერია...

აჭარაში მცხოვრები აფხაზების ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია, ნაწილი - სუნიტი მაჰმადიანი. მათთვის ერთნაირად მისაღებია და პატივს სცემენ ყველა რელიგიას, თუმცა ახალგაზრდები ბოლო პერიოდში უფრო მეტად ქრისტიანობას რჩეობენ.

აჭარაში მცხოვრები აფხაზები „აფხაზობის ხარისხისა“ და აფხაზური ენის ცოდნის აღსანიშნავად იყენებენ შემდეგ ენობრივ მარკერებს: **ძირძველი აფხაზი, წმინდა აფხაზური ოჯახი, მაგარი აფხაზები, რბილი აფხაზები, ნაციონალისტი აფხაზები, წმინდა აფხაზურად ლაპარაკობს, სუფთა აფხაზური იცის...**

მამასადაამე, ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალებიდან ჩანს, რომ:

1. აჭარაში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლები თავიანთ ეთნიკურ იდენტობას უმეტესად მხოლოდ აფხაზური (ან მეგრული წარმოშობის) გვარებით ადასტურებენ;

¹⁵ ფერიდე აცამბა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი იყო.

2. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ერთდროულად აფხაზებიც არიან და ქართველებიც;
3. ადრეულ პერიოდში უფრო მეტად იცავდნენ აფხაზურ საქორწილო თუ საჭირისუფლო რიტუალებს, რომლებიც დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა. ახლა უფრო ქართული წეს-ჩვეულებებით აღნიშნავენ თავიანთ სადღესასწაულო, თუ სამგლოვიარო რიტუალებს;
4. აჭარის აფხაზები ნაკლებად იცნობენ თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს. მათ უმეტესად აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზებთან აქვთ კავშირი, ამას ადასტურებს მათი პერიოდული მიმოსვლა აფხაზეთში ამჟამადაც. გარდა ამისა, ზოგიერთები საცხოვრებლადაც გადასულან ენგურს გაღმა აფხაზეთის ომამდეც და მის შემდეგაც;
5. უფრო ადრე, აჭარაში მცხოვრებმა აფხაზებმა კარგად იცოდნენ თავიანთი დედაენა, რომელიც, მართალია, საოჯახო ენის ფუნქციას ასრულებდა, მაგრამ ამასთანავე იყო აფხაზობის ერთ-ერთი მაიდენტიფიცირებელი მარკერი;
6. ამჟამად აფხაზური ენა იციან ძირითადად უფროსი თაობის წარმომადგენლებმა, მაგრამ მათი რაოდენობა შედარებით მცირეა;
7. აფხაზური ენა მეტ-ნაკლებად იციან საშუალო ასაკის ადამიანებმაც (მათ უმრავლესობას ესმის ნათქვამი, მაგრამ ვერ ლაპარაკობს). ისინი თავიანთ ცოდნას არ, ან ვერ გადასცემენ უმცროს თაობას, ანუ დაწყებულია დედაენის მემკვიდრეობით გადაცემის ჯაჭვის წყვეტა, რაც საგანგაშოა;
8. უფროსი და საშუალო ასაკის აფხაზებმა ძირითადად იციან სამი ენა: აფხაზური, ქართული და რუსული - ქართულენოვანი გარემოს, მრავალი მათგანის მიერ რუსულ ენაზე მიღებული სასკოლო თუ საუნივერსიტეტო განათლებისა და მეზობლად მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან სიახლოვის გამო;
9. აფხაზი ახალგაზრდები და ბავშვები უმეტესად მხოლოდ რამდენიმე აფხაზურ სიტყვას ფლობენ;
10. აჭარაში აფხაზთა შორის ძალზე იშვიათია აფხაზურად წერა-კითხვის ცოდნა, თუმცა ორ საჯარო სკოლაში აფხაზური ენის სწავლების შემოღებამ ყინული ერთგვარად დაძრა;
11. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, „აფხაზური ენა იკარგება კატასტროფულად“;
12. აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა უმრავლესობას აქვს ქართულ-აფხაზური ოჯახები და ურთიერთობისთვის, ძირითადად, იყენებენ ქართულ ენას (სამწიგნობრო ენას ნაკლებად, აჭარულ დიალექტს კი ყოველდღიურად).

აჭარაში მცხოვრები აფხაზების მაგალითიდან მკაფიოდ ჩანს, რომ აფხაზური ენა გაქრობის პირას მყოფი ენაა და ამას სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებენ, კერძოდ:

- ქართულ-აფხაზურ ოჯახებში ვერ ხერხდება აფხაზური ენის გადაცემა უფროსი თაობიდან უმცროსი თაობისთვის;
- მხოლოდ ვიწრო სოციუმში (ოჯახში და მხოლოდ აფხაზებთან) გამოსაყენებელი აფხაზური ენა თანდათან კარგავს ადრინდელ პოზიციებს ოჯახებში.
- წინათ აფხაზთა უფროსი და საშუალო თაობები აფხაზურსაც კარგად ფლობდნენ, მაგრამ ეს ენა უფრო საოჯახო და ვიწრო ნათესაურ წრეში გამოიყენებოდა. მათ სამსახურში, ოჯახის გარეთ, ოფიციალურ გარემოში გამოსაყენებლად ქართული და რუსული ენები უფრო სჭირდებოდათ, ვინაიდან ქართულენოვანი იყო გარემო (მეზობლები, ახლობლები, სამსახური, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები), რომლებთანაც ისინი ურთიერთობდნენ, ქართული და რუსული იყო მათი განათლების ენა. ამ მიზეზებმა განაპირობეს ის, რომ მათი დიდი ნაწილი სამეწიფოვანი გახდა. ფაქტია ისიც, რომ ამჟამად ახალგაზრდა აფხაზთა შორის რუსული ენის გამოყენების ობიექტური გარემოებები არ არსებობს, მკვეთრად დაეცა რუსული ენის პრესტიჟი, მაგრამ მათმა უმრავლესობამ თითქმის არ იცის აფხაზური ენა. ისინი ლაპარაკობენ ქართულად, ამასთანავე, თავიანთი სურვილის მიხედვით ირჩევენ და სწავლობენ ინგლისურ, ან თურქულ ენებს, რომლებიც მათ თავიანთი პროფესიული წინსვლისთვის სჭირდებათ.
- მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ბოლო პერიოდში აფხაზური ენის სწავლების შემოღება ერთ საკვირაო და ორ საჯარო სკოლაში, სადაც აფხაზურ ენას აფხაზ ბავშვებთან ერთად ეუფლებიან ქართველი დაინტერესებული პირები და მოსწავლეები. ვფიქრობთ, სასურველი და აუცილებელია სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო სტრუქტურების ხელშეწყობა, რათა აფხაზ ახალგაზრდა თაობას გაუჩნდეს სურვილი ისწავლონ თავიანთი ეროვნების ენა, იმისთვის, რომ გადარჩეს უნიკალური აფხაზური ენა და გაგრძელდეს მისი უწყვეტი გადაცემა თაობიდან თაობაზე.